პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბამოცდამეთერთმეტე წელი № 63 (11674) | ოთხშაბათი, 16 მარტი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მონაწილეებს, რომელიც მუშაობას იწყებს ჟენევაში, გაუგზავნა მისასალმებელი წერილი, რომელშიც ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ „უკვე შორს არ არის ის დღე, როცა შესრულდება კაცობრიობის საუკუნობრივი ოცნება — მსოფლიო იცხოვრებს ისე, რომ ალარ იქნება იარაღი და ომები“.

ნ. ს. ხრუშჩოვი უსურვებს კომიტეტს „წარმატებითსა და ნაყოფიერ მუშაობას ხალხთა საკეთილდღეოდ“ და აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობამ თავის წარმომადგენელს კომიტეტში მისცა დირექტივები ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი კომიტეტის ნაყოფიერ მუშაობას და ეცადოს, რომ მალე შეიმუშავდეს ხელშეკრულება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იმედს გამოთქვამს, რომ სხვა მონაწილენიც შეიტანენ თავიანთ წვლილს საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტის საქმეში. იგი ბაზგახმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა „მზადაა ყურადღებით განიხილოს ყველა წინადადება, რომელიც ემსახურება ამ მიზნის მიღწევას“. (საკდესი).

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში უკანასკნელ 2-3 წელიწადში 14 კომკავშირელი გოგონა მოვიდა.

გასულ წელს მათ საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.500-1.600 კილოგრამი რძე მოწველეს, წელს კი 1.800-1.900 კილოგრამი რძის მიღებისათვის იბრძვიან.

ხბოების გაზრდაში სახელი გაითქვეს კ. მუმლაძემ და ნ. ჯვარიძემ, თვითეული მათგანი 21 ხბოს უვლის.

სურათზე: კომკავშირელი მეხბორე კლარა მუმლაძე.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ახალი მიღწევებისაკენ, ჭაბუკებო და ქალიშვილებო!

ლენინური კომკავშირი! მრავლის მთქმელია ეს სიტყვები. გონების თვალით გადავფურცლოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მატიანე, და თვალწინ გადაიშლება კომკავშირის სახელოვანი შრომისა და ბრძოლის შესანიშნავი ფურცლები.

უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი სახელი საკავშირო ალკკ ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა და მებრძოლმა რაზმმა — საქართველოს კომკავშირმა. რესპუბლიკის კომკავშირის XXIII ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა, საქართველოს კომკავშირელები მოვიდნენ დიადი კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი. ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის 333-ათასიანი არმიის, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის საბრძოლო პროგრამას.

მრავალმა ასეულმა ახალგაზრდამ უკვე შეასრულა შრომის ნაყოფიერების ამაღლების შვიდწლიანი გეგმა, ათასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა გაუსწრო დროს და მომდევნო წლების ანგარიშში მუშაობს. მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა ახალგაზრდობამ შვიდწლედის „კომკავშირულ ყულაბას“ 250 მილიონი მანეთი შემატა.

ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმატებებში. შარშან მეჩაიეობის რაიონების ახალგაზრდობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 95 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ახალგაზრდობამ წარმატებით შეასრულა პარტიისათვის მიცემული სიტყვა და 1959 წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე 1.600 ლიტრი რძე მიიღო. კომკავშირელებმა 40 ათასი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 35 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

ახალგაზრდობამ შვიდწლედის მეორე წლის მიჯნაზე დაიწყო ლაშქრობა ჩაის პლანტაციებში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის, რასაც ახლა იგი დიდი ორგანიზატორული მუშაობით განამტკიცებს. ყურადღების ღირსია ყვარელელ ახალგაზრდათა თაოსნობა სიმინდის სიუხვისათვის ბრძოლაში. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მხარი დაუჭირა ყვარელელ ახალგაზრდობის თაოსნობას, მოიწონა მისი მიმართვა და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ პასუხსაგებ ამოცანად დააყენა სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ზრუნვა.

საქართველოს კომკავშირის, მთელი ჩვენი ახალგაზრდობის ღირსების საქმეა გააძლიეროს ბრძოლა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის. უჩვენოს ინიციატივა და თაოსნობა მუშაობაში, მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს და ფართოდ დანერგოს წარმოებაში. კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად რჩება ბრძოლა მეცხოველეობაში მაღალი კულტურის, მექანიზაციისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის, შრომითი დანახარჯების შემცირებისა და პროდუქტების გაიაფებისათვის.

დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეკრება. ამ შეკრებაზე რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა შეაჯამებენ სოფლის მეურნეობის დარგში მათ მიერ მიღწეულ შედეგებს, აწონ-დაწონიან თავიანთ შესაძლებლობებს და დასახავენ კონკრეტულ გზებს, რომლებითაც უნდა მოიპოვონ ახალი წარმატებანი შვიდწლედის მეორე წელს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომკავშირი პარტიის ხელმძღვანელობით მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, იბრძოლებს საბჭოთა ხალხის ბედნიერი აწმყოსა და უფრო გაისკროვნებული მომავლისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ამგავი „კირსარჯიდან“

სან-ფრანცისკო, 14 მარტი. (ტელეფონით სპეც. კორესპონდენტისაგან). 15 მარტს დილის ექვს საათზე ადგილობრივი დროით სან-ფრანცისკოში მოდის ამერიკის ავიამზიდი „კირსარჯი“. ამ ხომალდზე იმყოფება ოთხი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე: ზემდეგი ასხატ ზიგანშინი, მატროსი ივანე ფედოტოვი, მოტორისტები ანატოლი კრიუჩკოვსკი და ფილიპე პოპლავსკი, რომლებიც წყნარ ოკეანეში მსუბუქ კარბაპზე იყვნენ, საკმელი და წყალი არ ჰქონდათ, მაგრამ 49 დღის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ სიცოცხლისათვის. თქვენი კორესპონდენტი დღეს ტელეფონით დაუკავშირდა ავიამზიდ „კირსარჯს“. ტელეფონთან მოვიდა ზიგანშინი. აი რა თქვა მან:

„ყველანი კარგად ვგრძნობთ თავს. უკვე შეგვიძლია თავისუფლად სიარული. ძალიან მადლობელი ვართ ამერიკელი ხელისუფლებისა დახმარების აღმოჩენისათვის და იმ პირობებისათვის, რაც ხომალდზე შეგვიქმნეს. მაგრამ მთელი ჩვენი ფიქრები დაკავშირებულია სამშობლოში მალე დაბრუნებასთან“.

ი. ბარსუკოვი.
(„იზვესტია“, 15/III).

ლენინურ შრომითს ვახტზე

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

მიემაჯოს ჩვენი დანაზოგიც

ზუგდიდის ყველ-კარაქის ქარხანამ წარმატებით დაამთავრა შვიდწლედის პირველი წელი და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 600 ათასი მანეთის პროდუქცია. ამასთან დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 250 ათასი მანეთი.

წელს უკეთესად მუშაობს ქარხნის კოლექტივი. 1 მარტისათვის პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. 120 ტონით მეტი რძე გადაამუშავა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

დგანან რა ლენინურ შრომითს ვახტზე, ქარხნის მოწინავე მუშები ს. კაზარიანი, ა. დუნდუა, კ. ჯიქია, ზ. კუპრავა, ქ. ფირცხალავა, ი. მესხი და დ. ოსემჩუკი ყოველდღიურ დავალებას 150-160 პროცენტით ასრულებენ.

წარმატებით აღფრთოვანებულმა კოლექტივმა გადიდებული ვალდებულება იკისრა. წლიური გეგმა შეასრულოთ 7 ნოემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 700 ათასი მანეთის პროდუქცია, დავზოგოთ და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანოთ 300 ათასი მანეთი — ასეთია მათი პირობა.

ჯ. ხარებავა,
ზუგდიდის ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორი.

დაწინაურდნენ ფეიქრები

წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი ლენინურ შრომითს ვახტზე დგას და შეუნელებლად იბრძვის, რომ ვ. ი. ლენინს დაბადების 90 წლისთავისათვის გაანაღდოს ოთხი თვის დავალება. უკვე მოპოვებულია პირველი წარმატება — ფეიქრებმა ვადამდე შეასრულეს ორი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით ერთ მილიონამდე მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. დაზოგილია 1.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

თავდადებული შრომით გამოირჩევიან ძაფის ამომღებთა და მგრეხავთა კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც რუსეთან სანოძე და ალეკსანდრა ქაშიბაძე ხელმძღვანელობენ. პირველმა 115 პროცენტით გაანაღდა ორი თვის დავალება, ხოლო მეორემ — 125 პროცენტით. ამასთან აღსანიშნავია, რომ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად პირველი ხარისხისა.

ძაფსაღებ საამქროში დაწინაურდა ნაზი ეკატერინაძის ბრიგადა, რომელმაც თებერვლის დავალება 112 პროცენტით შეასრულა და გეგმასთან შედარებით შვიდი პროცენტით გაადიდა პირველი ხარისხის ძაფის ამოღება. მოწინავე ფეიქრებმა მარო მებუკემ, გუგული ტაბიძემ და მაყვალა ინანიშვილმა ორ თვეში სამი თვის დავალება შეასრულეს.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის განსახორციელებლად წარმატებითი მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და სახელმწიფო სტატისტიკის აღგილობრივი ორგანოების 496 მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 24 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 100 კაცი, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 146 კაცი და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 216 კაცი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **მელქაძე** ვალერიან ირაკლის-ძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ქუთათელაძე** მიხეილ პაკლეს-ძე — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოსახლეობის აღწერის განყოფილების უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **კაკურია** შოთა კონსტანტინეს-ძე — ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.
2. **ნებიერიძე** გიორგი სარდიონის-ძე — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **გორგიშელი** ელენე გიორგის ასული — დუშეთის რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორი.
2. **კაშია** ანასტასია ავქსენტის ასული — ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო სტატისტიკის საქალაქო ინსპექტორი.
3. **კვეკვესკირი** ტერენტი დომენტის-ძე — აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.
4. **ტაკვორიანი** ოსანეს ტიგრანის-ძე — ახალქალაქის რაიონის სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორი.
5. **ტოტჩიევი** გრიგოლ ბორისის-ძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

ახალგაზრდობის ლაშქრობა

უფროსთა მხარდამხარ

ვენისციხელმა კოლმეურნე ახალგაზრდებმა, რომლებიც უფროსთა მხარდამხარ შრომობენ ვენახებში, წელს შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს. მათ მოუწოდეს რაიონის ახალგაზრდობას მოაწყონ ლაშქრობა ვენახებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს 1962 წლისათვის გადაეწვინონ და გამორგან 92 ათასი ძირი ვაზი. ახალი ვენახების გასაშენებლად და მეჩხერ ადგილებში გამოსარგავად გამოიყენონ მხოლოდ ნამყენი ვაზი, თავიანთი რიგებიდან მოამზადონ 20-25 მყნობელი. საძირე ლერწით უზრუნველყოფისათვის სანიმუშოდ მოუარონ სადედე მეურნეობას და თვითეულ ჰექტარზე სტანდარტული ლერწის გამოსავლიანობა აიყვანონ 35-40 ათას ცალამდე ნაცელად გეგმით გათვალისწინებული 27 ათასისა. ზუსტად დაიცვან ვაზის მოვლის აგროტექნიკა.

ახალგაზრდებმა აქტიური შრომა გაიჩაღეს ვენახებში. მათ გადააწვინეს და გამორგეს მრავალი ათასი ძირი ვაზი.

ახალგაზრდებმა სადედე მეურნეობასაც დაუტყვეს ხელი. 5 ჰექტარი ლერწი შპალერზე გადაიყვანეს, ძირები გამოუბარეს და რიგთაშორის ნიადაგი ღრმად მოხნეს.

კოლმეურნეობამ უკვე გააშენა 5 ჰექტარი ვენახი, დაამზადა რამდენიმე ათასი ცალი ბოძი და ჭიგო, გაზიდა ვენახებში დიდძალი ნაკელი. ამ საქმიანობაში დიდია ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობა.

ბ. გაბრუაშვილი.
გურჯაანის რაიონი.

შვიდწლედის პირველი წლის ბოლოს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაში დაიბადა შესანიშნავი თაოსნობა 1960 წლის ბარაქიანი მოსავლის მიღებისათვის. ამ საქმის ინიციატორუბად გამოვიდნენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები, რომლებმაც „მიაგეს“ კოლმეურნეობაში უსარგებლოდ დარჩენილ მიწებს — ჩაის პლანტაციების მეჩხერ ადგილებს. ხუცუბნელებმა გადაწყვიტეს ჩაის პლანტაციების სიმეჩხრე ამოეფხვრათ პროგრესული მეთოდით — შეხვესებულ კოშტებში გამოყვანილი ნერგებით. ხუცუბნელებს მალე გამოუჩნდნენ მიმდევრები — მახარაძის რაიონის სოფელ მერიის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის და გალის რაიონის სოფელ მზიურის ახალგაზრდები, რომლებიც მათთან ერთად შეუდგნენ შეხვესებული ნერგების გამოყვანას. ამ პატრიოტული თაოსნობის საფუძველზე საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა ლაშქრობა უახლოეს ორ წელიწადში რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების სიმეჩხრის სრული ლიკვიდაციისათვის.

შვიდწლედის პირველი მოლაშქრეები — საქართველოს კომკავშირელები და ახალგაზრდობა აითვისებენ 3.000 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, რითაც სამშობლოს დამატებით მისცემენ 10.000 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

აღმოსავლეთ საქართველოს ახალგაზრდობამ დაიწყო ლაშქრობა ვენახებსა და ხეხილის ბაღებში სიმეჩხრის ლიკვიდაციისა და მავნებლებთან და ავადმყოფობებთან ბრძოლისათვის. გორის რაიონის სოფელ შინდისის, ქარელის რაიონის სოფელ მოხისის, თელავის რაიონის სოფელ აკურის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობების ახალგაზრდებმა, რომლებმაც გაითვალისწინეს ხეხილის ბაღებსა და ვენახებში სიმეჩხრისა და სასოფლო-სამეურნეო მავნებლებისაგან გამოწვეული დიდი დანაკარგები, აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს აღმოფხვრან სიმეჩხრე ხეხილის ბაღებში 1961 წლის ბოლოსათვის, ხოლო ვენახებში — 1962 წლის ბოლოსათვის, მოწინავე მეცნიერული მეთოდებით აწარმოონ ბრძოლა სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ და ორ წელიწადში მოსპონ ხეხილის ისეთი ძლიერი მავნებლები, როგორიც არის მინაფრთიანა და ნაყოფჭამია. ამ ღონისძიების განხორციელება ჩვენს ხეხილის ბაღებს შემატებს არსებული ფართობების 20 პროცენტზე მეტს და ვენახებს — 17 პროცენტზე მეტს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მაღალი შეფასება მისცეს კომკავშირის ამ ძვირფას თაოსნობას. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივის მხარდაჭერის შესახებ ახალგაზრდობას ავალებს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე და დაძლიოს ყველა სიძნელე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გზაზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ფართო მუშაობა გასწია კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ამ შესანიშნავი ინიციატივის ფართოდ გავრცელებისათვის. შედგა ჩაის, ვენახისა და ხეხილის ბაღების სიმეჩხრის ლიკვიდაციისა და სასოფლო-სამეურნეო მავნებლების მოსპობის ორწლიანი და სამწლიანი გეგმები. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან ერთად შემუშავდა ამ გეგმების განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი. კომკავშირულ ორგანიზაციებს მიეცათ სათანადო მითითებანი. დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხეხილისა და ვაზის დამატებითი სანერგეებისა და სადედეების მოსაწყობად. გამოინახა ჩაის ნერგის გამოყვანისათვის საჭირო რესურსები.

განსაკუთრებული, ყურადღება ექცევა კომკავშირული აქტივის მომზადებას. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში და ამ ინსტიტუტის ფოთის, სოხუმის, ზუგდიდისა და ჩაქვის ფილიალებში მოეწყო სემინარები მეჩაიეობის რაიონების ალკკ რაიკომების მდივნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი ორგანიზაციების მდივნებისათვის, სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციების მთავარ აგრონომებთან და კოლმეურნეობების აგრონომებთან ერთად.

აი ისინი — ჩაის სიმეჩხრესთან მებრძოლთა ერთი ჯგუფი — ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნე ახალგაზრდები.

ფოტო თ. კეკელაშვილისა.

ჩვენს ფოლ-ქვეყანაში

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეთხუთმეტე ტომი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის მეთხუთმეტე ტომი, რომელიც დასაბეჭდად მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა.

ტომში შეიდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ის სტატიები, რომლებიც დაწერილია 1860 წლის იანვრიდან 1864 წლის სექტემბრამდე.

კომკავშირულ მშენებლობებს — დამკვრელური ტემპი

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ მრეწველობისა და ტრანსპორტის ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის დაჩქარებისათვის, რომლებიც გამოცხადებულია სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებად. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ შვიდწლედის პირველ წელს კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე ნაწყობრში ჩადგა მეტალურგიული, ქიმიური, ენერგეტიკული და გაზის მრეწველობის 33 ობიექტი, ელექტროფიცირებული და აშენებულია 2.675 კილომეტრი რკინიგზა. 11 კომკავშირულ ახალმშენებლობაზე დამთავრდა ყველა ძირითადი სამშენებლო სამუშაო.

სკკპ XXI ყრილობის შემდეგ ჩვენი ქვეყნის დიდმნიშვნელოვან მშენებლობებზე კომკავშირული საგზურებით გაიგზავნა დაახლოებით 200 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. ბევრი მათგანი ახალმშენებლობებზე უჩვენებს შრომისადმი ჭეშმარიტად კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითებს. ყველგან, სადაც კი წყდება დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის წარმატება, საუკეთესოდ გამოიჩინეს თავი კომკავშირულმა შტაბებმა, საკონტროლო პოსტებმა, სარეიდო ბრიგადებმა და „მსუბუქი კავალერიის“ რაზმებმა.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში მთავარია განხორციელდეს კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობა მშენებელთა ახალგაზრდული კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, რაც მიზნად ისახავს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებასა და 1960 წელს ახალშენებელ სრულიად საკავშირო დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობათა ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემას. (საკდესი).

ფრთოსანთა მეგობარი

ვინც კი ონში ყოფილა, ქალაქის გარეუბანში, მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე შეაჩნევდა ახლად აგებულ ორ გრძელ შენობას. ეს მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმაა.

ამ ფერმას დიდი ხნის ისტორია როდი აქვს. იგი მხოლოდ ერთი წელია, რაც არსებობს.

ყოველ სიახლეს თან სდევს სიძნელეები. ასეთი სიძნელე აქაც იყო. გაჭირდა ფერმის დაკომპლექტება კადრებით. თავდაპირველად ბევრმა უარი თქვა ფერმაში სამუშაოდ წასვლაზე.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კომკავშირელებმა მისაბაძი თაოსნობა გამოიჩინეს. მათ შორის ლამარა სამხარაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც თავისი სურვილით მოვიდა ფერმაში სამუშაოდ. ენერგიულმა ახალგაზრდამ უსაზღვროდ შეიყვარა ფრთოსანი მეგობრები. ყოველთვის თავის დროზე უმასპინძლდებოდა მათ ნოყიერი საკვებით. მეფრინველის პროფესიის სწრაფად დაუფლებას დიდად დაეხმარა ზოგადსაგანმანათლებელი ცოდნა, რომელიც ლამარამ საშუალო სკოლაში მიიღო. სალამობობით, მუშაობისაგან თავისუფალ დროს ლამარა სამხარაძე წიგნებს ჩაჰკირკიტებს. მან მეფრინველეობის თემაზე დაწერილი არაერთი სანელმძღვანელო და ბროშურა გადაკითხა.

ახლა კომკავშირელი გოგონა ერთ-ერთი მოწინავეა ონის რაიონში.

ვ. ციბერკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ხალხი წერს რედაქციას

○ მიწაში გაღივდება საქმეგაფრენილი თესლი. ○ სადაც თავლოვან ცაფსალეებზე ფიქრობენ. ○ ქილს მიხცემია კონსერვატორი.

○ ვის ახსოვს ჩატეხილი ხიდი?! ○ გავსხნათ ძეგლ-მუზეუმი ქუთაისის მთაზე. ○ ღვინო გვევრი აქვთ, წყალი კი არა.

ამ დღეებში ქ. თბილისში კომინტერნის ქუჩაზე გაიხსნა ცეკავშირის კეთილმოწყობილი სასტუმრო № 36 მაღაზია.

სურათზე: ბოსტნეულობის სექცია.
ფოტო ბ. დადვაძისა და შ. ჩხეტიანისა.

აი რაზე სტკივათ გული

რეცა არ არის მონდომება

ატენი ერთ-ერთი დიდი სოფელია გორის რაიონში. სოფლის სიმდიდრის წყაროა ვენახი. ვის არ გაუგონია საქვეყნოდ ცნობილი ატენური ღვინო? საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამდიდრდა, დამშვენდა ატენი. მაგრამ სოფელს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. გარდატანის უბნის მცხოვრებლებს დღემდე საკმაო რაოდენობით არა აქვთ სასმელი წყალი. წყალსადენის გაყვანა არც ისე ძნელია, მაგრამ კოლმეურნეობისა და სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები ამ საქმეს თავს ვერ აბამენ, საჭირო ინიციატივასა და მონდომებას არ იჩენენ.

ატენელებს მუშაობაც გვიყვარს და გართობაც. მაგრამ ამ უკანასკნელს მოკლებულნი ვართ კლუბის უქონლობის გამო. მართალია, კლუბის მშენებლობა ამ რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, მაგრამ მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

გ. რევაზაშვილი,
ვ. რევაზაშვილი,
ი. შავდათუაშვილი,
სოფელ ატენის მცხოვრებლები.

სოფელს სჩირდება აფთიაქი

სამდურავი არ ეთქმით ოქიოელებს, კარგი და კეთილმოწყობილია მათი სოფელი. ისეთი კლუბი, სკოლა, ბიბლიოთეკა და საავადმყოფო აქვთ, რომ ახმეტის რაიონში ბევრი ვერ დაიკვეხნის უკეთესს. ერთ რამეზე კი ნამდვილად გულს ენაკლულებათ: სოფელში არ არის აფთიაქი. მცხოვრებლებს საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებისათვის თელავში ან ახმეტაში უხდებათ წასვლა 13-14 კილომეტრზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საფთიაქო სამმართველომ უნდა გათვალისწინოს მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნა და სოფელ ოქიოში გახსნას აფთიაქი.

ს. შეშაბერიძე,
სოფ. ოქიო, ახმეტის რაიონი.

მოსახლეობა დარჩა უხიდოდ

სოფელ ღანირის (სამტრედიის რაიონი) კოლმეურნეობამ 1949 წელს მდინარე ხარღოზე ააგო საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური.

ელექტროსადგურის მშენებლობის დროს მდინარეზე დაინგრა ხიდი, რომლითაც სოფლის მოსახლეობა საკოლმეურნეო მინდვრებს და მეცხოველეობის ფერმას უკავშირდებოდა.

კოლმეურნეები ვარაუდობდნენ, მალე მდინარეზე ახალ ხიდს ააგებენო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. უხიდოდ დარჩა მოსახლეობა, გაძნელდა მიმოსვლა. სანამ გაგრძელდება ასე?

გ. თხილავა,
სოფელ ღანირის მცხოვრები.

ეს არ გვეპატიება

მიდიხართ რუსთაველის პროსპექტზე, ჩაუვლით ოპერის ბაღს, და მაშინვე იგი მოგაგონებთ იმ დიდ ადამიანს, ვის სახელსაც ის ატარებს, და გული გწყდებათ, რომ ვერ ხედავთ უკვდავი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ძეგლს. რა შეუსაბამობაა, ოპერის ბაღში არ იყოს იმის ძეგლი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ოპერას, ქართულ ეროვნულ კლასიკურ მუსიკას.

ეს არ გვეპატიება.

ა. სოსელია,
თბილისი, მასწავლებელი.

აგრონომის ცდები

ახლადშექმნილ რაიონულ ცენტრში — სამგორში, სამ პატარა და ნათელ ოთახშია მოთავსებული თესლის კონტროლის რაიონული ლაბორატორია, რომელსაც წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობს გამოცდილი აგრონომი გ. დათუაშვილი. ლაბორატორიის სამუშაო ოთახებში ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. აქ ყოველთვის სანიმუშო სისუფთავეა. ლაბორატორიაში მოწყობილია თემატური სტენდები: ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურები, სამგორში გავრცელებული სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი და სხვ. ერთ-ერთი სტენდი დათმობილი აქვს სიმინდის ნათესების ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების ცნობებს.

როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს თესლის დაყალიბებას სიმინდის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

მაგრამ ამ ღონისძიებით როდი ამოიწურება სიმინდის თესლის დახარისხების სამუშაოები.

ერთჯერადი, ზუსტად მოწყობილი ლაბორატორიული ცდებით დადასტურებულია, რომ მარცვალთა ფორმის მიხედვით დაყალიბებულ თესლში, მსხვილ და მძიმე მარცვლებთან ერთად 15-20 პროცენტამდე შერეულია ფორმით თანაბარი, მაგრამ მჩატე, საკვებ ნივთიერებათა მარაგის მცირე რაოდენობის შემცველი მარცვლები.

ასეთი მარცვლიდან კიდეც რომ მივიღოთ მცენარეთა აღმონაცენი, იგი სუსტია, ვერ აღწევს სრულ ზრდა-განვითარებას, ან მისგან პროდუქტიული მცენარე არ მიიღება.

მოსავლის გადიდების ინტერესები მოითხოვს დასათესად გამოყენებულ იქნას მხოლოდ მსხვილი და მძიმე მარცვალი, რომელიც შეიცავს საკვებ ნივთიერებათა მეტ მარაგს, რაც უკეთესად უზრუნველყოფს ჩანასახის კვებას, განსაკუთრებით მისი ზრდა-განვითარების პირველ პერიოდში.

ამჟამად კონსტრუქტორები მუშაობენ ისეთი მანქანის შესაქმნელად, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის დახარისხების დროს ზომისა და ფორმის მიხედვით სათესლე მარცვალთა გათანაბრების პარალელურად მსუბუქ მარცვლებსაც მოაცილებს, მაგრამ ასეთი მანქანები ჯერ არა გვაქვს.

შეიძლება თუ არა სიმინდის თესლის მიმართ ეს ღონისძიება უფრო გავამარტივოთ, თუ თესლის დახარისხებისათვის გამოვიყენებთ მხოლოდ ჩვეულებრივ წყალს?

ცდების შედეგად აგრონომი გ. დათუაშვილი სწორ დასკვნამდე მივიდა. სიმინდის დაყალიბებული თესლი, ძირნაჩრეტებიანი ჭურჭლით ჩაშვებული ჩვეულებრივი წყლით სავსე ჭურჭელში, ორჯერ განმეორების შედეგად იწვევს 20-23 პროცენტამდე მსუბუქი თესლის ატივტივებას, რომელიც უნდა მოსცილდეს და გამოყენებულ იქნას სამეურნეო დანიშნულებისათვის. ჭურჭლის ფსკერზე დარჩენილი თესლის 80 პროცენტამდე კი, როგორც მძიმე და საკვებ ნივთიერებათა მეტი რაოდენობის შემცველი, დასათესად უნდა გამოვიყენოთ.

მსხვილი და მძიმე მარცვლიდან ვითარდება ჯანსაღი, ღონიერი მცენარე, რომელიც მეტ გამძლეობას იჩენს არახელსაყრელი გარემო პირობებისადმი. ასეთ მცენარეს უხვი მოსავლის მოცემის უნარი აქვს.

1956-1957 და 1958 წლებში მინდვრის პირობებში (დიღომი და ნორიო) ასეთი წესით მომზადებული თესლით ნათესიდან მიღებულია მარცვლისა და ჩალის მოსავლის თვალსაჩინო მატება.

აგრონომ გ. დათუაშვილის საცდელ-საწარმოო მუშაობის დადებითად შეფასების შემდეგ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებით რეკომენდებულია ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე რაიონში, მათ შორის ქ. თბილისის სამგორის რაიონში, აგრეთვე საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აჯამეთის საცდელ სადგურში და კოლხიდის საცდელ მინდორზე ამ მეთოდის გამოცდა წარმოების პირობებში.

სამგორის რაიონში ხვედრითი წონის მიხედვით დახარისხებული თესლით ნათესიდან მიღებულია, დაყალიბებული თესლით ნათესთან შედარებით, მარცვლის მოსავლის მატება ჰექტარზე 1,05 ცენტნერით, ხოლო სასილოსედ აღებული ნათესებიდან ტაროიანი მწვანე მასის მოსავლისა 14 ცენტნერით.

მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ ნაკვეთებზე მოსავალი აღებულ იქნა მარცვლად და გამოირკვა, რომ დაყალიბებული თესლით ნათესთან შედარებით მიღებულია 1,5 ცენტნერით მეტი მოსავალი.

მეთესლეობის დარგში ათეულ წლებით მუშაობამ აგრონომ გ. დათუაშვილს საშუალება მისცა დაემუშავებინა სიმინდის თესლის დახარისხების ახალი, მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით სასარგებლო მეთოდი და წარმატებით გადაეწყვიტა ეს მნიშვნელოვანი საკითხი.

სიმინდის თესლის დახარისხების ეს პროგრესული წესი ფართოდ უნდა დაინერგოს სიმინდის მთესველ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

გ. აბესაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.

ა. აფხაზავა,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

დავნერგოთ სიმინდის თესლის დახარისხების პროგრესული მეთოდები

ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ

ქუთაისის მთა, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე, არა მარტო ქალაქ ქუთაისის, არამედ საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ადგილია. ამ მთის თავსა და ფერდობებზე გაშენებული იყო გაერთიანებული საქართველოს პირველი დედაქალაქი.

ფეოდალური ქუთაისის ციხე-ქალაქი გრანდიოზულ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენდა. მთის თავზე აგებული იყო ციხე-სიმაგრე (ციტადელი), რომლის ზღუდის სიმაღლე 10 საჟენს, ხოლო კოშკებისა — 15 საჟენს აღწევდა. ზღუდესა და კოშკებში გაკეთებული იყო სათავეები, რომლებიც ფრესკებით იყო შემკული. ციტადელის გვერდით, ქუთაისის მთის ფერდობებსა და ტაფობზე კი გაშენებული იყო საკუთრივ ქალაქი, რომელსაც ირგვლივ ქვით ნაშენი ზღუდე უვლიდა.

ქალაქში აღმართული იყო დიდი საკრებულო ტაძარი, დიდებული ბაგრატის ტაძარი, რომელმაც ჩვენამდე მხოლოდ ნანგრევების სახით მოაღწია.

ბაგრატის ტაძარი ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლია. ვისაც კი იგი უნახავს, მოხიბლულა მისი დიდი ხუროთმოძღვრებითა და მხატვრობით. ქალაქის ციტადელი და ნაწილობრივ თვით ქალაქის ზღუდე დანგრეულ იქნა იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დროს, როცა იგი თურქი დამპყრობლებისგან გათავისუფლეს, ბაგრატის ტაძარი კი თურქმა მეციხოვნეებმა დააქცეს 1691 წელს.

ციხე-ქალაქისა და ნაწილობრივ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ ნაგებობათა ნაშთების შესახებ, რომლებიც ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, დაფარულია მიწით, რის გამო ქუთაისის მთის არქეოლოგიური შესწავლა ბევრ უცნობს, საინტერესოსა და მნიშვნელოვანს გვპირდება.

ამჟამად მიმდინარეობს ბაგრატის ტაძრის გამაგრება-აღდგენის სამუშაოები. დღისათვის დამთავრებულია ძეგლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილის გამაგრება-აღდგენა. ახლა წარმოებს მისი სამხრეთის მკლავისა და კარიბჭის რესტავრაცია. რაც შეეხება ქუთაისის მთის არქეოლოგიურ შესწავლას, იგი ჯერჯერობით დაწყებულიც არ არის. მატერიალური კულტურის ძეგლებით მდიდარ ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ ადგილზე, როგორიც არის ქუთაისის მთა, მიზანშეწონილია მოეწყოს ძეგლ-მუზეუმი.

ძეგლ-მუზეუმი ხელს შეუწყობს ქუთაისის მთის ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას და ეპოქის ამსახველი გამოფენის მოწყობით, კვალიფიციური საუბრებითა და ახსნა-განმარტებით, რასაც აქ მოსული ექსკურსანტები მიიღებენ, თვალსაჩინო როლს შეასრულებს ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

იმედი გვაქვს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო ამ საკითხს ყურადღებით მოეკიდება.

ნ. ბალანჩივაძე,
პ. ხმალაძე,
პედაგოგები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჭეშმარიტებაში დაეჭვებულნი“

„კომუნისტის“ 19 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის პ. ჭიოკაძის წერილი სათაურით „ჭეშმარიტებაში დაეჭვებულნი“, რომელიც შეეხებოდა ჭიათურის მარგანეცის ტრესტში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისა და მათი ავტორების წახალისებისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას.

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამბ. შ. ბუხრაშვილი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ მმართველობამ ტრესტის მთავარი გამამდიდრებლის მოადგილეს ი. თადუმაძეს, რომელმაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინა და დაუშვებლად გააჟღერა ვ. გეწაძისა და დ. ჩიხლადის რაციონალიზატორულ წინადადებათა შესწავლა, სასტიკი საყვედური გამოუცხადა. შეიქმნა ახალი კომისია, რომელმაც დადასტურა, რომ ამ წინადადებათა დანერგვა წარმოებას დიდ ეკონომიურ ეფექტს მისცემს.

წერილში ლაპარაკი იყო აგრეთვე იმაზე, რომ შეუწყნარებლად ჭიანურდება შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის სამთო კომბაინის შექმნა. ავტორმა შ. ბუხრაშვილმა მართლაც დაიწყო სამთო კომბაინის შექმნა და კომბაინის მჭრელი ნაწილის გამოცდაც მიმდინარეობდა, მაგრამ ამ სამუშაოს იგი აწარმოებდა თეორიული გაანგარიშების უქონლად და საპროექტო სამუშაოთა წინასწარ შეუსრულებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს განზრახული აქვს ახლო მომავალში შექმნას ჭიათურაში საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის „რუდმაშის“ ფილიალი, სადაც მოეწყობა სამთო მანქანების დაპროექტება და გამოცდა.

ერთ-ერთ ადგილზე

ეს წერილები არ დაბეჭდილა მეგრელ...

კრებამ ასე იმსჯელა

სოფელ ჯუჯუყვეთში კოლმეურნეთა ყოველთვიური ანანგრიშება არ ხდება, კოლმეურნეობას დებიტორიალური დავალიანება აქვს, ირღვევა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. კოლმეურნეობამ ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი — სწერდნენ რედაქციას სოფლკორები ლანჩხუთის რაიონიდან.

აღნიშნულ წერილზე იმსჯელა საქართველოს კპ ლანჩხუთის რაიკომმა.

როგორც რედაქციას ატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ კოლმეურნეობის ბუხჰალტერი შ. წილოსანი სამუშაოდან მოხსნა, ხოლო კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ იმსჯელა და გამგეობის თავმჯდომარე გ. ხოფერია გაათავისუფლა თანამდებობიდან.

დამნაშავენი დაისაჯნენ

ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთის მცხოვრები იტყობინებოდა ამაევე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მ. ქავთარაძისა და ბრიგადირ მ. ვარდუკაძის უპასუხისმგებლო მუშაობის შესახებ. წერილი ზომების მისაღებად გადაგზავნა პარტიის ზესტაფონის რაიკომმა.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ხუსკიკაძე გვატყობინებს:

წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. სოფელ კლდეეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ქავთარაძე და ბრიგადირი მ. ვარდუკაძე მოხსნილი არიან თანამდებობიდან. გამოძიების შედეგად ბრიგადირი მ. ვარდუკაძე მიცემულ იქნა სასამართლო პასუხისგებაში და მიესაჯა იძულებითი მუშაობა, ხოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მ. ქავთარაძეს პარტიის რაიკომის ბიურომ გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

ტრანსპორტი უკეთ მუშაოგს

— სამუშაოზე სისტემატურად ეიგვიანებთ, ავტობუსები ცოტაა და მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანას ვერ აუდის, — იტყობინებოდნენ რედაქციაში გამოგზავნილ წერილში სამგორის რაიონში მომუშავე მუშა-მოსამსახურეები. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა თბილისის საბჭოს აღმასკომის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს.

როგორც სამმართველოდან რედაქციას აცნობეს, სამგორის მუშა-მოსამსახურეთა გულისტკივილი სამართლიანია. ამ მიმართულებით ტრანსპორტის მოძრაობის გასაუმჯობესებლად სამმართველომ სამგორის რაისაბჭოს აღმასკომთან შეთანხმებით შეიმუშავა ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი, რომლის მიხედვით ამ ხაზზე მომუშავე მანქანებს დაემატა 5 ავტობუსი.

○ ○ ○

○ ○ ○

კაშხალები გადაკვეთენ მდინარეებს

მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფებისათვის, რისკენაც ერთხელ კიდევ მოგვიწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის. ივნისის პლენუმმა, მეტად მნიშვნელოვანია ასაწყობი რკინაბეტონის, რაციონალური სამშენებლო კონსტრუქციების, ბეტონის დამზადების ტექნოლოგიის ახალი მეთოდების ფართოდ დანერგვა. ამ მიმართულებით თბილისის ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს გარკვეული მიღწევები აქვს.

თეორიული გამოკვლევებისა და საწარმოო-ლაბორატორიული ცდების საფუძველზე ჩვენ შევიმუშავეთ და ავირჩიეთ უაღრესად მკვიდრი ვიბროგააქტიურებული ბეტონის დამზადების ტექნოლოგია, ასეთი წესით დამზადებული ბეტონი ძლიერ გამაძლეა ჰიდროცევეთის მიმართ. ვიბროაქტივიზაციის მეთოდით დამზადებულ ბეტონ „ტნისგეის“ გამოიყენებენ თბილისში ქარლ მარქსის ხიდის რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად. ამით არსებითად შემცირდება რეკონსტრუქციის სამუშაოთა ღირებულება.

არანაკლები ყურადღების ღირსია ინსტიტუტში შემუშავებული ახალი ორიგინალური კონსტრუქცია ასაწყობი რკინაბეტონის საძირკვლისა ზემძლავრი ტურბოგენერატორებისათვის, რომელიც პირველად იქნება გამოყენებული სამშენებლო პრაქტიკაში ალი-ბაირამლის ზემძლავრი თბოელექტროცენტრალის მშენებლობაზე ქალაქ ბაქოს. მახლობლად, ხოლო შემდეგ — თბოელექტროცენტრალის მშენებლობაზე რუსთავში.

ამით მნიშვნელოვნად შემსუბუქდება და გაიაფდება მძლავრი თბოელექტროსადგურის საძირკველი, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ სადგურისათვის ძირითად სამშენებლო კონსტრუქციას წარმოადგენს.

ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კონსულტაციით თბილისში დამთავრდა სარწყავი სისტემების ღარების აწყობილი რკინაბეტონის სექციების წარმოების ათვისება და მიმდინარეობს მუშაობა ღრე და ქარგლიან-კამაროვანი კონსტრუქციების სამრეწველო დამზადებისათვის.

როგორც ცნობილია, რაციონალური სამშენებლო კონსტრუქციების დასაპროექტებლად საჭიროა მათი გაანგარიშება თანამედროვე სრულყოფილი მეთოდებით. ეს მეთოდები უზრუნველყოფენ კონსტრუქციის საიმედოობასა და ხანგრძლივ სამსახურს მისი ეკსპლოატაციის პირობებისა და მასალის ხარისხის გათვალისწინებით; ამასთან შესაძლებელს ხდიან გამოყენებულ იქნას კონსტრუქციის „მუშაობა“ პრაქტიკისათვის საჭირო სიზუსტით, თავიდან აცილებულ იქნას კონსტრუქციის სმენტაციის, მდგრადობისა და სიხისტის ზედმეტი მარაგი. ეს საფუძველს ქმნის გაპოზნასის რაციონალური კონსტრუქციული ფორმა. კონსტრუქციაში შედა ძალების ყველაზე ხელსაყრელი განაწილება და მის დამზადებაზე მასალა დაიხარჯოს მხოლოდ ზუსტად საჭირო რაოდენობით. ამატომ ნაგებობათა თეორია, რომელიც სამშენებლო კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდების სრულყოფასა და ახალი მეთოდების დადგმას ემსახურება. დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს მშენებლობაში ზედმეტობასთან, მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფებისათვის ბრძოლაში.

ნაგებობათა თეორიის დარგში მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ფართო ფრონტით წარმოებს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად. უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში აშენდება მთელი რიგი მაღალი თაღოვანი და გუმბათისებრი კაშხალები. ასეთი ნაგებობანი სამშენებლო ტექნიკის სრულეთესო მიღწევებს უნდა მივაკუთვნოთ. თანამედროვე კონსტრუქციული ფორმა (ეარსის ტიპისა) შესაძლებელს ხდის იმას, რომ კაშხალს განსაცვიფრებლად მცირე სისქე მიეცეს. მის სიმაღლესთან შედარებით დიმიღწეულ იქნას ნაგებობის მაღალი ეკონომიურობა. აღნიშნული კაშხალებიდან პირველი — ლაჯანურის თაღოვანი კაშხალი საექსპლოატაციოდ გადაეცა გასული წლის ბოლოს. ინსტიტუტი ამუშავებს თაღოვანი და გუმბათისებრი კაშხლების გაანგარიშების ახალ მეთოდებს, რომლებიც, უზრუნველყოფენ რა გაანგარიშების სიზუსტეს, შესაძლებელს ხდიან მისი შრომატევადობის შემცირებას.

მაგრამ თაღოვანი და გუმბათისებრი კაშხლებს რაციონალური დაპროექტებისათვის, მათი სირთულის გამო, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მათი მოდელების წინასწარ გამოცდას. ეს მოდელები მზადდება ძლიერ შემცირებული მასშტაბით და აღჭურვილია ისეთი ხელსაწყოებით, რომლებიც შესაძლებელს ხდიან დატვირთვის პროცესში გაიზომოს მათი ძაბვა და ღუნვა. ამყამად ინსტიტუტში შენდება ლაბორატორია, რომელიც განკუთვნილია ასეთი ცდების მოსახდენად.

ყველა ამ სამუშაოს შესრულებაში თანამგობრობა გვაქვს ინსტიტუტ „ჰიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილებასთან, სადაც საქართველოს თაღოვან კაშხალს ამროექტებენ, ტრესტ „საქჰიდროენერგოშენთან“, რომელიც პირველი ახორციელებს მათს მშენებლობას.

დოცენტი ლ. გველესიანი,
თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მოიწონეს, შემდეგ კი...

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყოველმხრივ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ უდიდესი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

ამავე დროს ილია წლების მანძილზე პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა სამართლიანობისათვის ბრძოლაში, იყო ღარიბ-ღატაკთა და ქვრივ-ობოლთა მოსარჩლე. ილია ჭავჭავაძე მუშაობდა მომრიგებელ შუამავლად, იყო მოსამართლე, ნაფიცი მეკილი, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მებრძოლი.

თუ ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაზე იზრდებოდა და იზრდება ლიტერატურულ მოღვაწეთა მთელი პლეადა, რატომ არ უნდა იყოს ქართველი საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი ილია ჭავჭავაძის ნაწერები, რომ ილია ჭავჭავაძეს ეფიქრა ამ საკითხზე მრავალი საინტერესო მასალა შეაგროვა იურისტმა ნიკოლოზ კეკელიძემ. შემდეგ დაწერა შრომა „ილია ჭავჭავაძის ღვაწლი და შეხედულებები სამართლის დარგში“ და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ წარადგინა.

გამომცემლობის მუშაკებმა ჯერ მოიწონეს ეს შრომა, ხოლო შემდეგ ასეთი წერილი მისწერეს ავტორს: „გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გაცნობეთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში წაიღოთ... თქვენი ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, როგორც იურისტი“... წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია პასუხისმგებლობას იხსნის მის შენახვაზე“.

სინამდვილეში ზემოაღნიშნული შრომა ყურადღების ღირსია და თუ გამომცემლობა დაინტერესდება მისი გამოცემით, კარგ საჩუქარს მიაწვდის ჩვენს მკითხველს.

ვ. ეკანია,
თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე.

ვ. კაკიონი „კაკიონურად“ მსჯელობს

ლენინის სახელობის შახტის ქვანახშირის ზოგიერთი ფენა მაღალი ნაცრიანობით ხასიათდება. სათბობის ხარისხის გაუმჯობესებაზე აქ მრავალი რაციონალიზატორი მუშაობს. ქვანახშირის პირველადი გამდიდრება სარჩევ სამქროში მიმდინარეობს. აქ ვახდენთ ქვანახშირიდან თვალსაჩინო ფუჭი ქანების ამოკრეფას. ეს ღონისძიება დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევა. საამქროს კოლექტივმა ბევრი იმუშავა ქვანახშირის გამდიდრების პროცესების დასაჩქარებლად და მრჩეველთა მძიმე შრომის შესამსუბუქებლად.

მაგრამ გასაკეთებელი მაინც ბევრი დაგვრჩა. ზოგიერთ სამუშაო პროცესს კვლავ ხელით ვასრულებთ. არ შეიძლება გულისტკივილი არ გამოვთქვათ ერთი საკითხის მოგვარების გაჭიანურების გამო. სარჩევ საამქროში ცალში 8-10 კუბმეტრ ფუჭ ქანს არჩევენ ქვანახშირიდან. ამ ფუჭი ქანის ვაგონეტებში ჩატვირთვას და დანიშნულ ადგილზე გაგორებას ორი წონეს და გადაწყვეტეს მისი უმოკლესი გზაში დანერგვა. სამონტაჟო სამუშაოთა შესრულება ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოს დაევალა. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ კონსერვატორები, რომლებიც წინააღუდგნენ ამ სიახლეს. სახელოსნოს უფროსს ვ. კაზიონის არაერთხელ შეეტყინენ, მაგრამ საქმე არ დაჩქარდა.

ვ. კაზიონი ასევე უსულგულოდ მოექცა ჩემი მეორე რაციონალიზატორული წინადადების დანერგვას. ეს წინადადება ქვანახშირის საავარიო საწყობის ტეეადობის მაქსიმალურ გამოყენებას ითვალისწინებს.

მოელება თუ არა ბოლო ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას?

დ. გვენეტაძე,
ლენინის სახელობის შახტის სარჩევი საამქროს მექანიკოსი.

ქილს მიხცემია კონსერვატორი.

კავშირგაბმულობა რომ უნაკლოდ მუშაოგდეს...

კავშირგაბმულობის მუშაკთა სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური თათბირი

★

გაიმართა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მუშაკთა სამეურნეო აქტივის რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მიეძღვნა 1959 წელს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანოების საქმიანობის შედეგებისა და მომდინარე წლის ამოცანების განხილვას. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა გ. ქრისტესაშვილმა.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებმა წარმატებით იმუშავეს 1959 წელს და ამით თავიანთი წელილი შეიტანეს რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაში შეიდწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. გასულ წელს გაიხსნა კავშირგაბმულობის 47 ახალი განყოფილება, მნიშვნელოვნად გადიდდა საფოსტო ტელეფონიზაციის სიგრძე, გაძლიერდა ავიატელეფონთხიდეა. ამან შესაძლებელი გახადა გაუმჯობესებულიყო ადრესატებისათვის ორეს ტელეგრამებისა და ჟურნალ-გაზეთების მიტანა.

მარშან საეკსპლოატაციოდ გადაეცა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის მთელი რიგი ახალი არხები. ამავამად საქართველოში მუშაობს 9 სატელეგიზიონ სადგური, რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში არის 33.268 ტელეეზორი — ერთიორად მეტი, ვიდრე 1958 წელს.

სერიოზული ყურადღება ექცევა კავშირგაბმულობის საწარმოთა უზრუნველყოფას კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კადრებით. თბილისში გაიხსნა კავშირგაბმულობის სრულიად საკავშირო დაუსწრებელი ელექტროტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც ორი წლის შემდეგ უკვე გამოუშვებს ინჟინერებს. მათ ერთსა და იმავე დრო ექნებათ კავშირგაბმულობის საწარმოებში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება. შეიქმნა ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც შემდეგში გახდება კავშირგაბმულობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალის ბაზა.

კამათში გამოვიდნენ თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის უფროსი მ. ედილაშვილი, აბარის კავშირგაბმულობის სოლოქო კანტორის უფროსი პ. გაბიძაშვილი, თბილისის საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურის ცვლის უფროსი ა. ფერაძე, აფხაზეთის კავშირგაბმულობის საოლქო კანტორის უფროსი კ. კუჭავა, თბილისის ფოსტამტის ფოსტალიონი ვ. როქკოვი, მახარაძის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის უფროსი შ. გოგუა, რადიოსატრანსლაციო ქსელის დირექციის უფროსი ნ. ჩხიკვაძე, თბილისის ფოსტამტის უფროსი ა. გაბიტაშვილი, ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კანტორის უფროსი ვ. გაგოშიძე, სამტრედიის კავშირგაბმულობის რაიონული კანტორის უფროსი ლ. ახობაძე, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე მ. ინაური და სხვები.

თათბირზე აღინიშნა კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. საკმაო სისწრაფით არ წარმოებს კოლმეურნეობათა ტელეფონიზაცია და რადიოფიკაცია. სუსტად ინერგება შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ნაკლები ყურადღება ექცევა მუშაობას რაიონალიზატორებთან. ჯერ კიდევ არის კავშირგაბმულობის საშუალებათა ნორმალური მუშაობის შეფერხება, მიღწეული არ არის მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურა. გამოსვლებში მოყვანილი იყო საფოსტო გზავნილების დამუშავებისა და ადრესატებთან მიტანის, დეპეშების დაგვიანებული ჩაბარების, საქალაქთაშორისო სატელეფონო ლაპარაკის ჩაწლის მაგალითები, რაც მშრომელთა სამართლიან საჩივარს იწვევს.

თათბირზე გამოსულმა აზერბაიჯანის სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. თ. კ. ჰუსეინოვმა ილაპარაკა აზერბაიჯანის კავშირგაბმულობის მუშაკთა წარმატებაზე, რომლებიც ეჯიბრებიან საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. მ. ლაბახუამ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ყველა მუშაკისადმი და მოუწოდეს მათ ფართოდ გაიაღონ ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მიღებულია კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის კონკრეტული ვალდებულებანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ი. ქადაგიძემ. (საქმესი).

იმრავლოს ფარამ...

წერილი საქოვრებიდან

ოლესა და სამუხში, ტარიბანასა და ხალიჩამი, ივრის პირებზე ქათქათა ღრუბლის ქულებივით მოძრაობენ ცხვრის ფარები.

ლამაზია ოლეს ხეობა. შუაში საძოვრებია, ნაპირები მაღალი გორებით არის შემორკალული. ბევრგან გადარჩენილა მარადმწვანე ღვია. ქარისაგან დაცულ ადგილებში მეცხვარეებს ბინები აუგიათ.

მეცხვარეთა ბინასთან ჩვენი მისვლა პირველად მოდარაჯე ქოფაკებმა გაიგეს, მანქანიდან ჩამოსვლის ნებას არ გვაძლევენ. ბინიდან ახოვანი ვაჟკაცი გამოვიდა, ნაგაზები დაიწყნარა და მოგვესალმა.

— დიმიტრი ჯიხოშვილი — ახმეტის რაიონის ზემო ალვანის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადის ბრიგადირი! — თავი გაგვაცნო და ბინაში მიგვიწვია.

ბრიგადაში დიდი ალოობაა, მოსავალს იმკიან. 619 დედაცხვრიდან ოთხასი დადოლდა, კოლმეურნეობის დოვლათს 450 ბატკანი შეემატა. მწყემსებმა გიორგი ზარიძემ, ირაკლი ბაიხოიძემ და სხვებმა ყოველ ას დედაცხვარზე ას ხუთი ბატკნის გაზრდა იკისრეს.

* * *

დაღამდა. თითქოს ზეციდან თვალუწვდენელ ველზე ვარსკვლავები ჩამოცვივნულან, მეცხვარეთა ბინებში სინათლე ციმციმებს. როსტომ თილიძემ ტყუპი ბატკნების დედები ფარეხში შელალა, ქოფაკს შეეხმიანა „იფხიზლეო“ და ბინაში შევიდა. თუნუქის ღუმელს სახურავი მოხადა, ჯოხით ცეცხლი გაქექა, შეშა შეუმატა, ტახტზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა. ამინდი მუხთლობს, ბალახი არ ამოდის, დედაცხვრები კი ტყუპებს იგებენ. კონცენტრირებული საკვები აქვთ, მაგრამ ორორი ბატკნის გაზრდა მაინც უჭირს ცხვარს. რა ქნან, როგორ მოიქცნენ?

შუალამემ მოაღწია, როსტომს ძილი არ ეკარება. გარეთ გამოვიდა, მთვარის შუქზე შორიდან მომავალი ლანდი შენიშნა. როსტომმა ბრიგადის თავკაცი იცნო. რეგაზ იდიძე ცხენი დაბა და როსტომს მიმართა:

— რატომ არ გძინავს, განა ხვალ ცხვარს მიხედვა არ უნდა?

ამ ნათქვამში სიხარულიც გამოსჭვივოდა და წყენაც. რეგაზს გაეხარდა, რომ მწყემსი ფხიზლობდა, მაგრამ ეწყინა, რომ არ ისვენებდა, ვაი, თუ მეორე დღეს აღარ გამომდგარიყო.

თმაშეერცხლილი ვაჟკაცი რეგაზ იდიძე ორ ათეულ წელზე მეტია ბრიგადას მეთაურობს და სიცხვილი არ უჭამია. კოლმეურნეობის გამგეობას, კოლმეურნეებს ყოველთვის დოვლათის სიმრავლეს უპატაკებს. წელს წინანდელზე გაცილებით უკეთეს მაჩვენებლებს მოელის. ცხრაასი დედაცხვრიდან ოთხასი დადოლდა, 450 ბატკანი თვალსა და გულს ახარებს.

რეგაზმა მწყემსებთან ერთად ერთხელ კიდევ დაათვალიერა ფარეხები, საბატკნეები, კოჩაკნები და ოთახში შევიდა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, — დაიწყო ბრიგადირმა, — უხეირო ამინდები ხელს გვიშლის, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხვალ დილითვე ორ ტონა ქერს მოგვაშვებს. თუ საჭიროა, ძროხასაც გამოგიგზავნით. ბატკნებს რძე მიაშველეთ. ჩვენი მხრივ ყოველ ას დედაცხვარზე 105 ბატკნის გაზრდას შევეპირდი. ხომ არ შევრცხვებით?

— რას ბრძანებთ, განა როდესმე რამე გვითქვამს და არ გაგვიგია?

— დაიმედეს მწყემსებმა.

* * *

სამუხში პანტისშარის მარჯვნივ ქვიტკირის შენობა აუგიათ. მის ახლოს ცხვრის ფარეხებია მოწყობილი. აქ გიორგი აბალოიძის მეცხვარეობის ბრიგადაა. იშვიათად, რომ ბინაში მწყემსი შევიდეს. ზოგი მინდორში ცხვარს აძოვებს, ზოგი ბატკნებს პატრონობს.

ტყუპი ბატკნების მიღება კარგია, მაგრამ უკეთესია მისი უდანაკარგოდ გაზრდა, რასაც მეცხვარეები აღწევენ დაუღალავი შრომით.

სამას ორმოცდაათი დედაცხვარი დადოლდა, ორმოცდაათმა ტყუპი მოიგო.

საღამოს მწყემსებმა ცხვარბატკანი დააბინავეს და ბინაში შეგროვდნენ. მათ ახმეტის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ბიძინაშვილი, რაიონული გაზეთის რედაქტორი თ. ბაინდურაშვილი და სხვები ესტუმრნენ. აქ არიან ბრიგადების მეთაურები. თათბირი სტაროპოლელი მეცხვარე მალაშენკოსა და ანაგელ ჩალაბაშვილის მუშაობის გამოცდილების დანერგვას მიეძღვნა.

— ჩვენს კოლმეურნეობას, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტეფანე ლაგაზიძე, — ოლეზე ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას ცენტრალური ბინა აუგია. მოწყობილია საწყობი, სადაც კონცენტრირებულ საკვებს ინახავენ. ოთახებში უყმროსა და სამუხისაკენ მიმავალი მწყემსები ღამეს ათევენ. ერთი ოთახი „შტაბს“ აქვს დათმობილი. აქ ყოველდღიურად მოდის ცნობები ბრიგადებიდან. თუ ვინმეს დახმარება სჭირდება, „შტაბს“ უნდა მიმართოს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თემურაზ მოურავიძეს ბრიგადები შემოეკლო და ცენტრალურ ბინაში დაბრუნებულიყო. კოლმეურნეობას 15.600 ცხვარი ჰყავს, მარშანდელთან შედარებით დედაცხვრის სულადობა ცხრაასით გაიზარდა. თავმჯდომარემ ზეპირად იცის, თუ რომელ ბრიგადაში რა მდგომარეობაა, ვის რა სჭირდება. მოწინავეთა შორის ერთი და ორი როდი დაასახელა.

მეორე ბრიგადამ, რომელსაც ვახტანგ მარწინაიძე ხელმძღვანელობს, მარშან ნამატიც ბევრი გაზარდა და მატყლიც უხვად მიიღო. შვიდწლედის მეორე წელს ბრიგადამ მეტის მიღწევა იკისრა. ნათქვამს ასრულებენ. დოლი უნაკლოდ მიმდინარეობს.

ახალგაზრდა მწყემსი ჯ. ცაძიკიძე.

* * *

მოწინავენი სხვა ბრიგადებიც არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან უხეიროებიც. მეათე ბრიგადა (ბრიგადირი ლ. ბექურიძე) დოლისათვის ცუდად მოემზადა. საკვები ცოტა ჰქონდათ, კოლეღი არ გამოჰყვეს, ცხვარს ხელი დააკლეს და, რა გასაკვირია, რომ შედეგი ცუდი აქვთ. სამოცდაათი ცხვარი გაუბერწდათ.

უფრო სავალალო მდგომარეობაშია კ. შაბალაიძის ბრიგადა. ორასი ცხვარი დადოლდა და 120-ზე მეტი ბატკანი არა ჰყავთ. ამ საქმეში მწყემსებთან ერთად ბრალი მიუძღვის კოლმეურნეობის ვეტექიმს პ. ქავთარაძეს, რომელმაც აშკარა დაუდევრობა გამოიჩინა.

* * *

ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის კოლმეურნეობების ფერმებიდან ათობით კილომეტრი მანძილი გავიარეთ, ათობით ფარა ვნახეთ. ყველგან ხალისიანი შრომაა გაჩაღებული. იორის მარჯვენა მხარეს გავედით, იქ ლენინგორის რაიონის მეცხვარეთა მუშაობა გვაინტერესებდა. სოფელ დადიანეთის კოლმეურნეობას ათასცხრაასი თოხლი გამოუზამთრებია, მაგრამ როგორ — არ იკითხავთ? ძალიან ცუდად. მთელ ზამთარში სამ ტონაზე მეტი კონცენტრირებული საკვები არ მიუტანიათ. დაავადებათა საწინააღმდეგოდ საჭირო ზომები არ მიიღეს. ამიტომ იყო, რომ ორასამდე თოხლი მოუკვდათ. სამწუხაროდ, კოლმეურნეობისა და კოლმეურნეების პირადი ცხვარი ერთმანეთშია არეული. თითქმის არცერთი მწყემსი არ არის ისეთი, რომ თავისი საკუთარი ოცი-ოცდაათი სული ცხვარი არა ჰყავდეს.

ლენინგორის მეორე კოლმეურნეობაც ვნახეთ. რაიონიდან ჩამოსული ვეტექიმები ცხვარს უცრიდნენ, მაგრამ რაღა დროს? ორმოები სავსეა დახოცილი თოხლით. ნუთუ არ იციან ლენინგორში ეს მდგომარეობა?!

შირაქში გაზაფხული სახარბიელო არ არის. დროდადრო თოვლი მოდის, ქარი ქრის. მეცხვარეებს დახმარება სჭირდებათ. შვიდწლედის მეორე წელს ცხვრის სიმრავლეს უნდა მივაღწიოთ.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მარტი. შირაქის საზამთრო საძოვრები.



მწყემსები: ი. ხოსიკურიძე, ბ. ედიშერაძე და ვ. ხისაური.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ქართული აზროვნების საუნჯენი

ბიბლიოთეკა კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, რომელსაც მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შესწავლილი, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გაცხოველდა მკვლევართა ყურადღება ამ მიმართულებით, რის შედეგადაც მკითხველმა საზოგადოებამ რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა მიიღო.

ამ სახის ნაშრომთა შორის ინტერესს იწვევს გ. აბზიანიძის „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან“.* გ. აბზიანიძე ყურადღებას ძირითადად ამაჯილებს ქართველ სამოციანელებზე, განსაკუთრებით კი ი. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეზე, სამოციანი წლების წინა დროის ქართული აზროვნება, კერძოდ კი მისი პროგრესული წარმომადგენლის ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობა, განხილულია როგორც სამოციანელთა შეხედულებების წინამორბედი და გამოსავალი წყარო. რაც შეეხება სამოციანი წლების შემდგომი პერიოდის ქართულ აზროვნებას, აქ ავტორმა განიხილა 70-80 წლების ქართული აზროვნების ურთიერთობა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პროგრესულ აზროვნებასთან, განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში და პარიზის კომუნის ამბავი, ქართველი ხალხოსნები და სხვ. ამ ფონზე ნაჩვენებია 70-80 წლების ქართული აზროვნების მეშიდრო კავშირი სამოციანელთა შეხედულებებთან.

ნაშრომის მთელ მანძილზე გ. აბზიანიძე ცდილობს უჩვენოს ის დიდი როლი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეასრულა XIX საუკუნის ქართული აზროვნების განვითარების ისტორიაში. მართალია, სპეციალურად ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი თავი შედარებით პატარაა და ნაშრომის დიდი ნაწილი განკუთვნილია ნიკო ნიკოლაძის შეხედულებათა გამოკვლევისადმი, მაგრამ ყველა მოაზროვნე და თითქმის ყველა საკითხი ი. ჭავჭავაძის მიერ ქართულ აზროვნებაში გაკვალულ მაგისტრალურ ხაზთან არის დაკავშირებული და შედარებული. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ავტორი ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის პოზიციებიდან განიხილავდეს ქართული აზროვნების ისტორიას. გ. აბზიანიძე ისტორიის მარქსისტულ-ლენინური გაგების თვალსაზრისით სწორად არკვევს ილია ჭავჭავაძის ადგილს XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიაში.

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებანი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში სოლომონ დოდაშვილის როლის შესახებ მრავალმხრივ არის საინტერესო. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ 60-70-იან წლებში პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა მიერ ყურადღების გამახვილება ს. დოდაშვილზე შემთხვევითი როდი ყოფილა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ს. დოდაშვილმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იან წლებში აღმართა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა. ამასთან ერთად დოდაშვილი როგორც რესპუბლიკური წყობილების მომხრე სოციალური თავისუფლების საკითხსაც აყენებდა. ორივე ეს საკითხი მთელი სიცხოველით ქართველი სამოციანელების წინაშე დადგა, და ამიტომ ბუნებრივია, რომ მათ თავიანთ უშუალო წინამორბედად ს. დოდაშვილი აღიარეს.

შევნიშნავთ, რომ სავსებით ზუსტი არ არის ავტორის კატეგორიული განცხადება, თითქოს ს. დოდაშვილმა „სცადა აღიდგინა ისტორიულ კატაკლიზმებში შეწყვეტილი, უძველესი საუკუნეებიდან მომდინარე ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძაფი და ახალი მეცნიერული ტრადიციები დაენერგა ჩვენს სინამდვილეში“. მიუხედავად „ისტორიული კატაკლიზმებისა“, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ძაფი არ შეწყვეტილა. ყოველ შემთხვევაში დოდაშვილის წინა პერიოდზე ეს არ ითქმის. სხვა საკითხია, რომ დოდაშვილმა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში გზა გაუხსნა იმ დროის ევროპის ფილოსოფიურ იდეებს და ამდენად განახლება შეიტანა ქართულ აზროვნებაში, რაზეც თვით ავტორიც მიუთითებს.

ნაშრომში ახსნილია, რომ ქართველმა სამოციანელებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშასთან ერთად ს. დოდაშვილისაგან შემკეკდრეობით მიიღეს მოწინავე შეხედულებანი ესთეტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის საკითხებზე. ავტორი საინტერესო და საფუძვლიან მოსაზრებებს გამოთქვამს ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მიერ განვითარებულ ესთეტიკურ შეხედულებებზე, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობდა რევოლუციური დემოკრატიზმისა და მარქსამდელი მატერიალიზმის პრინციპებიდან. კარგად არის გარკვეული ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი ეროვნული მთლიანობისა და ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის შესახებ და სხვ.

გ. აბზიანიძე საკმაოდ ვრცლად განიხილავს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაგრამ სიზუსტეს მოკლებულია ავტორის მტკიცება, თითქოს ილია ყოფილიყოს „მატერიალისტური ფილოსოფიისა და რეალისტური ესთეტიკის პირველი მედროშე საქართველოში“. საკმაოთ არ არის ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის უაღრესად დიდი დამსახურება, მაგრამ მატერიალიზმს საქართველოში ხომ თავისი ტრადიციები ჰქონდა და ი. ჭავჭავაძე ამ ტრადიციების გამგრძელებელი და განმაკითარებელი იყო.

ნარკვევებში ყველაზე ვრცლად არის გაშუქებული ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ძირითადი მომენტები და გარკვეულია მისი როლი ქართული აზროვნების ისტორიაში.

გ. აბზიანიძე ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და ევოლუციას განიხილავს იმდროინდელი რუსეთ-საქართველოს და ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებთან მჭიდრო კავშირში. დამაჯერებლად არის ახსნილი ის ევოლუცია, რომელიც ნ. ნიკოლაძემ განიცადა რევოლუციური დემოკრატიზმიდან ლიბერალიზმისაკენ. ავტორი თვლის, რომ 60-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის დიდი გავლენა განიცადა, მეტიც, იგი თავის თავს ჩერნიშევსკის ორთოდოქსალურ მიმდეკრადაც კი თვლიდა, მაგრამ იმის შედეგად, რომ ნიკოლაძემ „თავისებურად გაიგო მთელი რიგი არსებითი მხარეები ჩერნიშევსკის მოძღვრებისა... მთლიანად ვერ ამაღლდა მის რევოლუციურ მსოფლმხედველობამდე“.

ნარკვევებში დიდი გულმოდგინებით არის განხილული ნ. ნიკოლაძის უაღრესად ფართო საკურნალო და საგაზეთო მოღვაწეობა. დღემდე უცნობი მრავალი საარქივო მასალის გამოყენების საფუძველზე გარკვეულია ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა „ცისკარში“, „სოვრემენიკში“, „ნაროდნოე ბოგატსტვოში“, „ოტეჩესტვენნე ზაპისკის“ ფურცლებზე, გაშუქებულია მისი მუშაობა „დროებასა“ და „კრებულში“, „ობზორსა“, „ნოვოე ობზორენიესა“ და სხვა ორგანოებში, რომლებსაც ნ. ნიკოლაძე ან თვით რედაქტორობდა, ანდა მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. გ. აბზიანიძის წიგნში ნაჩვენებია ნ. ნიკოლაძის კავშირი რუსულ და საზღვარგარეთულ პრესასთან, კერძოდ, გარკვეულია ნ. ნიკოლაძის დაახლოება გერცენთან და ოგარევთან, მისი მონაწილეობა „კოლოკოლში“, გარკვეულია გერცენთან ნ. ნიკოლაძის დაშორების მიზეზები.

ნაშრომში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ნ. ნიკოლაძეს როგორც ლიტერატურის კრიტიკოსს. ყურადღება გაესაკუთრებით გაამახვილებულია ნ. ნიკოლაოის დამოკიდებულებაზე ი. ჭავჭავაძის მხატვრულ — ძეძოქმედებასა და პუბლიცისტიკასთან. პოზიტიური პოზიციებიდან არის გაკრიტიკებული ნ. ნიკოლაძის ზოგიერთი არასწორი შეხედულება ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ და ამასთან ერთად ნაჩვენებია ისიც, თუ რა დიდ ადგილს აკუთვნებდა ნ. ნიკოლაძე ი. ჭავჭავაძეს ქართული აზროვნების ისტორიაში. ასევე ვრცლად და საფუძვლიანად არის გახხილული ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება აკაკი წერეთლის, გ. წერეთლის შემოქმედებისადმი; დამოკიდებულება რუსული მეურლობის ისეთი კორიფეებისადმი, როგორიც ბუვნეს ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, გოგოლი, ნეკრასოვი, ტოლსტოი და სხვები.

ავტორი განიხილავს ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძველს. მისი აზრით, ნ. ნიკოლაძე „ფილოსოფიის ძირითად საკითხს მატერიალისტური თვალსაზრისით სწყვეტს“, აღიარებს ბუნებისა და საზოგადოების შინაგანი კანონზომიერების არსებობას. მაგრამ საკმე ის არის, რომ ნიკოლაძე ვერ გასცილდა მეტაფიზიკური მატერიალიზმის ფარგლებს.

გასაკუთრებულ ინტერესს იწვევს გ. აბზიანიძის მოსაზრებანი შეეიცარიის ქართულ საზოგადოება „უღელთან“ ნ. ნიკოლაძის კავშირის შესახებ. ნარკვევების ეს უკანასკნელი თავი, რომელშიც დიდი ადგილი უკავია ნ. ნიკოლაძეს, როგორც პაოიზმი ქართული გაზეთის „დროშის“ გამომცემელსა და საზოგადოება „უღლიო“ ერთ-ერთ თვალსაჩინო დამაარსებელ-მოღვაწეს, საფუძვლიან გამოკვლევას წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ აქ საარქივო მასალების მომარჯვებით არის გადაშლილი საზოგადოება „უღელის“ ხასიათი, დაშტიკებულია ამ საზოგადოების ციურიხისა და ქენევის ორგანიზაციების არსებობა.

ავტორმა ყურადღება გაამახვილა საზოგადოება „უღელის“ კავშირზე მარქსის მიერ დაარსებულ პირველ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციასთან — პირველ ინტერნაციონალთან, აგრეთვე ქართველ რევოლუციონერ ხალხოსანთა ჯგუფთან. თუ გავითვალისწინებთ იმ მჭიდრო კავშირს, რაც ამ საზოგადოებას ჰქონდა საქართველოსთან და ქართულ პრესასთან (საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ თითქმის ყველა წერილს ხომ „უღელის“ წევრები განიხილავდნენ), მაშინ გასაგები იქნება ის როლი, რაც ამ საზოგადოებამ შეასრულა საქართველში რევოლუციურ-ხალხოსნური მისწრაფებების და შემდეგ მარქსისტული იდეების გავრცელებაში.

ნარკვევებში განხილულია ანტონ ფურცელაძის და კირილე ლორთქიფანიძის შეხედულებანი.

ნარკვევების ღირსება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ მასში ყურადღება გამახვილებულია ს. მესხის, ი. მაჩაბლის და ხომლელის (რ. ფანცხავა) შეხედულებათა და მოღვაწეობის გამოკვლევაზე. ამ მოღვაწეებს საკმაოდ დიდი დამსახურება მიუძღვით ქართული აზროვნების ისტორიაში, რაც, სამწუხაროდ, დღემდის არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და შეფასებული. ნარკვევების მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი ამ ხარვეზის გამოსწორების ცდაა. ახსნილია, რომ სამივე ეს მოაზროვნე იდგა თავისი დროის პროგრესული იდეების სიმაღლეზე და მათ თავიანთი წელილი შეიტანეს ქართული აზროვნების ისტორიაში. ავტორს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ზოგიერთი მომენტი შეიძლებოდა უფრო გაშლილად ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგალითად, საჭირო იყო ყურადღების მეტად გამახვილება ი. მაჩაბლის მსოფლმხედველობაზე, რომელიც კარგად აისახა მის გამოსვლებში ბანკის საკითხებზე წარმოებულ კამათში და სხვ.

ნარკვევებში განხილულია მრავალი სხვა საკითხიც, მაგრამ ყველა მათგანზე აქ შეჩერება შეუძლებელია.

გ. აბზიანიძის ნაშრომი — „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან“ ავტორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. ამ წიგნს ინტერესით გაეცნობა ჩვენი მომთხოვნი მკითხველი საზოგადოებრობა.

ვ. გაგოიძე,
გ. დოგორჯგინიძე,
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატები.

* **გ. აბზიანიძე.** ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

გალეტი «ოტელო» ლენინგრადში

მარტის ბოლოს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში შედგება ა. მაჯავარიანის ბალეტის „ოტელოს“ პრემიერა. სპექტაკლს დგამს ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი, მხატვარია საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. ვირსალაძე.

პირველ ორ სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებს ვახტანგ ჭაბუკიანი, დეზდემონას პარტიას ცეკვავს რსფსრ სახალხო არტისტი ალა ოსიპენკო, იაგოს — სვიატოსლავ კუზნეცოვი, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სპექტაკლებში „ბახჩისარაის შადრევანსა“ და „გედის ტბაში“ ცეკვავდნენ.

„ოტელოს“ პირველ სპექტაკლებზე დასასწრებლად ლენინგრადში გაემგზავრა კომპოზიტორი ა. მაჯავარიანი.

„ᲨᲔᲛᲝᲒᲠᲣᲜᲔᲑᲐ“

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დ. თაქთაქიშვილის სამმოქმედებიანი კომედია „შემობრუნება“. სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა თ. მესხმა. მხატვრობა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფ. ლაპიაშვილს. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა შ. მილორავამ.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები შ. ხაჯალია, ვ. მეგრელიშვილი, თ. კიკნაძე, კ. აბესაძე, მსახიობები — ვ. გვენცაძე, ა. ქელბაქიანი, ა. ჩიქვინიძე, გ. ლასხიშვილი, ე. სვანაძე, ც. ოთიაშვილი, ც. ბერიძე, ი. ბალიაშვილი, ეკ. დადიანი და სხვ.

მოსწავლეთა სპექტაკლი

ამ დღეებში სოხუმის მეთერთმეტე საშუალო სკოლის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა კ. გოგიაშვილის პიესა-ზღაპარი „ფარავნელი ჭაბუკი“.

პიესა დადგა პედაგოგმა ვ. ფოჩხუამ, სიმღერები შეარჩია ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლოტბარმა ს. ოჩიგავამ, ცეკვების დადგმა ეკუთვნის ქორეოგრაფ ო. ვაშაკიძეს.

ნ. მიქაშავიძე.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲖᲔᲙᲕᲐᲕᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

გუშინ, 15 მარტს, მოსკოვში მყოფმა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელებმა — სტალინური პრემიის ლაურეატებმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ნინო რამიშვილმა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ილიკო სუხიშვილმა გვაცნობეს:

— მოსკოვში ჩამოსვლისთანავე, — განაცხადეს საუბარში ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა, — ქართველ მოცეკვავეთა მთელი კოლექტივი გულთბილად მიგვიღო საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. მიხაილოვმა და გულწრფელად გვისურვა დიდი შემოქმედებითი წარმატებები. ამერიკაში ანსამბლის გასტროლებთან დაკავშირებით ორშაბათს, 14 მარტს, ქ. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა დიდი პრეს-კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელი ჟურნალისტები. პრეს-კონფერენციაზე დამსწრეთ გავაცანით ამერიკის შეერთებულ შტატებში კანადასა და მექსიკაში ჩვენი სამთვიანი საგასტროლო ტურნეს მარშრუტი.

—როგორც უკვე გადაწყვეტილია, ხვალ, 16 მარტს, დილით გავფრინდებით მოსკოვიდან საბჭოთა თვითმფრინავ „ტუ 104-ით“, რომელიც ბრიუსელამდე ჩაგვიყვანს. იქიდან კი პირდაპირი ავიახაზით ბელგიური ავიაკომპანიის თვითმფრინავ „საბენათი“ ნიუ-იორკში ჩავფრინდებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ პირველად როდი ჩავდივართ. ჯერ კიდევ შარშან საბჭოთა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით სხვა ცნობილ საბჭოთა კოლექტივებთან ერთად გასტროლებზე ვიმყოფებოდით ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამიტომ

ფიქრი მტკვრის პირას.

ფოტოეტიუდი გ. გოგობიასი.

მ. ბოტვინიკი — მ. ტალი

მ. ტალის გამარჯვება

მოსკოვი. 15 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჭადრაკის მოყვარულ საზოგადოებრიობისათვის დიდი ხნით ნანატრი დღე დადგა. დედაქალაქის პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში, როგორც იტყვიან ნემსის ადგილი არ იყო. ასეულობით სპორტის მოყვარული თეატრის გარეთ დარჩა. ადმინისტრაციამ მათთვის მოაწყო მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის მატჩის პირველი პარტიის მსვლელობის დემონსტრაცია ეკრანზე. ჭადრაკის გულშემატკივრები გაცხოველებით იხილავდნენ მთელი ბრძოლის მიმდინარეობას.

მ. ტალმა თამაში მეფის პაიკით დაიწყო. მისმა მოწინააღმდეგემ ფრანგული დაცვა აირჩია.

საინტერესოა შევადაროთ მსოფლიო პირველობაზე ნათამაშები პირველი პარტიები. 1927 წელს ცნობილ მატჩში კაპაბლანკასა და ალიოხინს შორის ალიოხინმა მოიგო პირველი პარტია, სადაც გამოყენებული იყო ფრანგული დაცვა.

ბოტვინიკისა და სმისლოვის სამ მატჩი ბოტვინიკმა ორჯერ მოიგო პირველი პარტია შავებით 1954-58 წ.წ., ხოლო 1957 წელს მან პირველი პარტია თეთრებით წაგო.

ამის გამო მაყურებელთა შორის გაიგონებდით ასეთ გამოთქმას — „ბოტვინიკი მეტად საშიშია შავებითო და ტალს მეტი სიფრთხილე მართებსო“.

მ. ბოტვინიკი დახელოვნებულია ანალიზში. მან ტალთან პარტიაში მე-11 სვლამდე აირჩია ფრანგული დაცვის ცნობილი გაგრძელება. ასევე მიმდინარეობდა პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში გლიგორიჩისა და პეტროსიანის პარტია იუგოსლავიაში. მაშინ გროსმაისტერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ თეთრების მეფე ცენტრში რჩება, ისინი ინიციატივას.

ბოტვინიკი მე-11 სვლიდან იყენებს ახალ გეგმას. ტალს სვლების განმეორებით შესაძლებლობა ჰქონდა ყაიმისათვის მიეღწია, მაგრამ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თავი აარიდა ამას და ბრძოლა განაგრძო. მე-13 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონი ნახევარ საათს ფიქრობდა და გადაწყვიტა მოწინააღმდეგისათვის მეორე პაიკი შეეწირა. შესაძლოა ეს სწორი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მომდევნო სვლაზე მან უკან დაიბრუნა ერთი პაიკი, რაც მართებული არ აღმოჩნდა, რადგან შავების მეფეც ცენტრში დარჩა.

თეთრებს ორი კუსა და მძიმე ფიგურებისათვის მეტი სამოქმედო სივრცე ჰქონდათ. მე-19 სვლიდან დაწყებული, როდესაც მათ ეტლი მესამე ჰორიზონტალზე შემოიყვანეს, ტალმა ბრძოლა დიდი ენერგიით ჩაატარა.

შავების პოზიცია დაირღვა. 31-ე სვლაზე თეთრებმა მოიგეს ხარისხი, ხოლო 32-ე სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა საათი გააჩერა და მოწინააღმდეგეს გამარჯვება მიულოცა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტალმა სვლათა მოფიქრებაზე დახარჯა საათნახევარი, ხოლო ბოტვინიკმა — 2 საათი და 25 წუთი.

ამრიგად, ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე დაიწყო. ახალგაზრდა გროსმაისტერმა ტალმა რთულ და მრავალფიგურიან ბრძოლაში აჯობა მსოფლიო ჩემპიონს.

მეორე პარტია შედგება 17 მარტს.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

ლატარიის ბილეთით — „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, მაცივარი

ფოთი, 15 მარტი. (ტელეფონით). უჩვეულო გამოცოცხლებაა ფოთში. დღეს დაიწყო საქართველოს სსრ 1960 წლის ფულისა და ნივთების პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

პირველი დიდი მოგება... ცხადდება, რომ ლატარიის 30095 სერიის № 185 ბილეთს მოგება ხვდა მსუბუქ ავტომანქანა „მოსკვიჩი“. „მოსკვიჩი“ ხვდა აგრეთვე 29794 სერიის № 103 ბილეთს.

გუშინ დიდი მოგებანი — საწოლი ოთახის გარნიტური ხვდა 25141 სერიის № 036 ბილეთს, პიანინო — 32345 სერიის № 091 და 28772 სერიის № 166 ბილეთებს. გათამაშდა აგრეთვე მაცივრები, რადიოლები, საკერავი მანქანები. დღის II ნახევარში ლატარიის 27535 სერიის № 143 ბილეთს მოგება ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“. დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე, ხოლო დღის მეორე ნახევარში 6 საათიდან 10 საათამდე გათამაშდა 60 ათასი მანეთის მოგება.

ტირაჟის რეპორტაჟი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი.

დღეს დილის 10 საათიდან ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაგრძელდება.

კ. კომახიძე,
გ. ნოდია.

კალათგურთი

თბილისელებმა ჩემპიონი დაამარცხეს

ლენინგრადი. 15 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დღევანდელი მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იყო სსრ კავშირის ჩემპიონის, რიგის სკენოსა და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეხვედრა.

თბილისელები თამაშობდნენ კილაძის, მინაშვილის, ლეკავას, უგრეხელიძისა და მოსეშვილის შემადგენლობით.

ანგარიში რიგელებმა გახსნეს. მაგრამ დინამოელებმა მალე საპასუხო პურთით უპასუხეს, ხოლო შემდეგ თვითონ წაიყვანეს თამაში. მე-17 წუთისათვის ქულათა განსხვავებამ ათს მიაღწია თბილისელთა სასარგებლოდ.

პირველი ტაიმი მოიგეს თბილისელებმა 33 : 28.

შეჯიბრების მეორე ნახევარში ბრძოლა შეუპოვარი იყო. რიგელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება (38 : 38), მაგრამ თბილისელები მედგრად იბრძოდნენ გამარჯვებისათვის და მოიგეს ეს პასუხსაგები შეჯიბრება 67 : 66.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მორიგი დამარცხება განიცადა კაუნასის გუნდთან 48 : 86.

კიევის ტური

კიევი. 15 მარტი. აქ გრძელდება კალათბურთელ ქალთა კოლექტივების ასპარეზობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. გუშინ, ჩემპიონატის მეორე ტურში თბილისელები შეხვდნენ ლენინგრადის სკიფს და მეოთხე დამარცხება განიცადეს 48 : 56 (24 : 31). წარმატებით გამოდის ჩემპიონატის ლიდერი ლენინგრადის სკვო. გუშინ ამ გუნდმა მძაფრ ბრძოლაში დაამარცხა ტარტუს უსკი 57 : 54.

რესპუბლიკურ პირველობაზე

ბათუმი, 15 მარტი. (ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მეოთხე ტური. ბ. გურგენიძემ პირველობის გათამაშების ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა, დაამარცხა ა. გაგუა. ა. იზოფშჩიკო